რეკომენდაცია

სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ

შემუშავებულია „ საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და „ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

2020 წლის 2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N11971/20) მომართა ნ.გ.-მ, რომელიც მიუთითებს, რომ ადვოკატ ლ.ჯ.-ს მხრიდან გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი. სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებლის ინტერესებს ააიპ „საფარი“ წარმოადგენს.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა ლ.ჯ.-სგან, ამასთან, შედგა პირადი გასაუბრება ნ.გ.-სთან.

განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში სრულად წარმოადგინა ლ.ჯ.-სთან სხვადასხვა თარიღში განხორციელებული მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაცია და მოპასუხის მიერ გაკეთებული ფეისბუქ პოსტისა და მეგობრობის თხოვნების გაგზავნის ამსახველი ე.წ სქრინშოთები. განმცხადებელმა სახალხო დამცველს ასევე წარმოუდგინა წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის „GCRT“ 2020 წლის 27 დეკემბრის N01-01-076 ცნობა ფსიქოთერაპიული მომსახურების მიღების შესახებ და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 25 დეკემბრის F20001334 ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის, ნ.გ-ს, პოზიცია

1.1.1. მოპასუხე ლ.ჯ.-სთან ფეისბუქ მიმოწერა

განმცხადებლის, ნ.გ.-ს, განმარტებით, იგი არის ორი არასრულწლოვნის დედა, ბავშვებს ზრდის მარტო. განმცხადებელი წარსულში გახდა ძალადობის მსხვერპლი ყოფილი მეუღლის მხრიდან. ბავშვების მამისგან ალიმენტის მოთხოვნისა და ქონებრივი დავის წარმოების მიზნით, სასამართლოში სარჩელის აღძვრა გადაწყვიტა, რისთვისაც, უსახსრობის გამო, სხვადასხვა პერიოდში, დასახმარებლად მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს. 2020 წლის 28 ივნისს სოციალური ქსელის, facebook, მეშვეობით დაუკავშირდა ერთ-ერთ იურიდიულ კომპანიას, რომლის რეკლამის თანახმად, კომპანია ალიმენტთან დაკავშირებულ დავებზე

მუშაობდა და კონსულტაციის გაწევა იყო უფასო. კომპანიის წარმომადგენლებმა განმცხადებელს 13 ივლისს დაუნიშნეს კონსულტაცია, თუმცა, ნ.გ-მ, ბავშვების გამო, ოფისში მისვლა ვერ მოახერხა და კომპანიას კონსულტაციის დისტანციურად გაწევა სთხოვა. კომპანიის წარმომადგენები დაჰპირდნენ, რომ მას ადვოკატი დაუკავშირდებოდა. რამდენიმე დღეში, კერძოდ, 2020 წლის 25 ივლისს სოციალური ქსელის facebook მესენჯერით განმცხადებელს დაუკავშირდა ლ. ჯ., რომლის facebook პროფილი იყო სახელწოდებით - ადვოკატი ლ.ჯ. ნ.გ.-მ ივარაუდა, რომ იგი იყო ზემოაღნიშნული იურიდიული კომპანიის წარმომადგენელი და უკავშირდებოდა ალიმენტის საქმესთან დაკავშირებით. განმცხადებლის განმარტებით, ეს ადამიანი მას მიმართავდა ძალიან ფამილარულად, შენობით, რაც მისთვის გასაკვირი იყო, თუმცა, მიმოწერის დროს შეეცადა აეხსნა მისი საქმის დეტალები, რომლებიც, მისი აზრით, საჭირო იქნებოდა ალიმენტთან დაკავშირებული სარჩელის მომზადებისთვის. მოპასუხემ, ალიმენტის საქმესთან დაკავშირებით, განმცხადებელს ზოგადი ინფორმაცია მისწერა. საუბრისას მოპასუხემ აღნიშნა, რომ განმცხადებლის სიტუაცია, ფაქტობრივად, უიმედო იყო და, მის გარდა, ვერავინ დაეხმარებოდა. საკუთარი მაღალპროფესიონალიზმის დასადასტურებლად, მოპასუხე განმცხადებელს უგზავნიდა მის შესახებ ლინკებს და ვიდეომასალებს. ვინაიდან განმცხადებელი პროფესიით არის ექიმი და შეხება არ ჰქონია სამართალთან, დააიმედა ადვოკატის საუბარმა და ჩათვალა, რომ იგი სამართლებრივი დავის წარმატებად დასრულებისთვის უკანასკნელი იმედი იყო.

ნ.გ.-ს განმარტებით, კომუნიკაციის პერიოდში, ლ.ჯ. იწყებდა სხვადასხვა საკითხებზე საუბარს - თავდაპირველად, შედარებით ნეიტრალურ თემებს, შემდეგ კი პირადი ხასიათის საკითხებს ეხებოდა. ეს განმცხადებლის დაბნეულობას იწვევდა და დელიკატურად, „ღიმილაკებით“ უბრუნებდა პასუხს. მიმოწერის დროს, მოპასუხე აქცენტს აკეთებდა საკუთარ ფიზიკურ მონაცემებზე და განმცხადებელს პერიოდულად უგზავნიდა თავის ფოტოებს/ვიდეოებს, გადაღებულს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილებში (ქუჩაში, ზღვის სანაპიროზე, სავარჯიშო დარბაზში, ტელესტუდიაში, ჰამაკში წამოწოლილი და ა.შ.), ერთ-ერთი ვიდეო გამოაგზავნა შეკითხვით - *აბა არ მოგწონვარ?* ასევე, განმცხადებელს სწერდა, რომ განმცხადებელი *ესიმპატიურებოდა და მოსწონდა,* თავადაც რამოდენიმეჯერ ჰკითხა - *მოგწონვარ?* ასევე, განმცხადებელს უგზავნიდა გულებს და კოცნის სმაილებს.

განმცხადებლის მითითებით, მოპასუხის ასეთ ქცევაზე მან გამოხატა გაკვირვება, თუ რატომ ცდილობდა ლ.ჯ. მისთვის თავის მოწონებას და არაერთხელ მიუთითა, რომ *ზღვარს გადადიოდა.* განმცხადებლის შეფასებით, თავდაპირველად, ლ.ჯ. მას აიმედებდა, რომ მისი პროფესიონალიზმი მოაგებინებდა ალიმენტისა და ქონებრივ დავას. თუმცა, შემდეგ მოულოდნელად შეცვალა ტაქტიკა და უთხრა, რომ სამართლებრივი დავისთვის თავი დაენებებინა - *შეეშვი წყლის ნაყვას და ღირსეული ვინმე ნახე, ვინც გაგაძლიერებს* რომ *ცუდ ქმარს კარგი საყვარელი სჯობს* და რომ ამას ყველა კლიენტ გოგოს ეუბნება. მოპასუხებ ნ.გ.-ს ასევე უთხრა, რომ *ჯობდა ახალი ცხოვრება დაეწყო და თან მხოლოდ მას შეეძლო ესწავლებინა მისთვის, თუ როგორ აეწყო ცხოვრება და კარიერა..* აღნიშნულზე განმცხადებელმა

კატეგორიულად განუცხადა, *რომ ვინმეს მონახვა -არ მონახვა მხოლოდ მისი პირადი საქმე იყო და არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქმესთან.* განმცხადებელმა მას ასევე განუმარტა, რომ *საყვარლობის თემისგან ძალიან შორს არის და ურჩევნია სულ ნუ იქნება ნურავინ.* აღნიშნული სიტყვების შემდგომ განმცხადებელი დარწმუნდა, რომ ლ.ჯ.-ს სხვა მიმართულებით მიჰყავდა საუბარი. კერძოდ, ეს იყო სექსუალური შევიწროება და საადვოკატო საქმიანობის სანაცვლოდ სექსუალურ პარტნიორობის შეთავაზება. განმცხადებელმა გადაწყვიტა, სიტუაციისგან თავი დაეღწია ისე, რომ მოპასუხე ზედმეტად არ გაეღიზიანებინა, ნელ - ნელა „ღიმილაკებით“ და მინიშნებებით მიეხვედრებინა, რომ არასწორად და არაეთიკურად იქცეოდა მის მიმართ. ვინაიდან ამ ადამიანს, როგორც ადვოკატს, დიალოგის დასაწყისში, საქმის ვითარებაში გასარკვევად, გააცნო ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებული პირადი ხასიათის ინფორმაცია, განმცხადებელს გაუჩნდა შიში, რომ თუ იგი მას რაიმეზე უარს ეტყოდა, ის ამ პირად ინფორმაციას მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა. აღნიშნული ეჭვის საფუძველს უქმნიდა თავად მოპასუხის მონაწერები და ლინკები, თუ როგორ აშანტაჟებდა პოლიციის უფროსებსა და პროკურორებს და ამაყობდა, რომ ამის გამო მისი ყველას ეშინოდა. ამას გარდა, ლ.ჯ. გამუდმებით საუბრობდა მის გავლენებზე და გავლენიან თანამდებობის პირებთან ნაცნობობაზე. ახსენებდა კახი კალაძეს, მის მოადგილეს, რომ საპატრიარქოს მდივანს, შორენა თეთრუაშვილს უწევდა კონსულტაციას.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მიმოწერის მშვიდად დასრულების მიზნით, განმცხადებელმა ლ.ჯ.-ს უთხრა, რომ სასიამოვნო იყო ასეთ ინტელექტუალურ და საინტერესო ადამიანთან საუბარი და აუცილებლად შეიტანდა სარჩელს მისი რჩევების გათვალისწინებით, რაზეც პასუხად მიიღო, რომ დამოუკიდებლად ამას ვერ შეძლებდა და აუცილებელი იყო ადვოკატის დახმარება, ასევე, რომ შეხვდებოდა და დაელაპარაკებოდა. განმცხადებელს აღნიშნულზე პირდაპირი უარის შემეშინდა და მოპასუხეს აუხსნა, რომ შეხვედრას აზრი არ ჰქონდა, რადგან ადვოკატის ასაყვანად სახსრები არ გააჩნდა და სწორედ ამიტომ მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციას უფასო კონსულტაციისთვის. ნ.გ.-ს განმარტებით, ამის შემდგომ მოპასუხემ განმცხადებლის უსახსრობის თემა გამოიყენა და, მის მოსასყიდად, ახალ ხერხს მიმართა. ლ.ჯ.-მ დაიწყო ავტომანქანის, ფულის კუპიურების, მაცივრის, დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტების, ყველის, საბანკო ანგარიშის ამონაწერის და ა.შ. ფოტოების გაგზავნა; აღნიშნავდა, რომ ეს ძვირადღირებული ნივთები იყო. ასევე, გამოგზავნა თავისი ფოტო კომენტარით, რომ აცვია 3 000 დოლარიანი პიჯაკი. სრულიად უკონტექსტოდ, წერდა თავისი შემოსავლების/ჰონორარების შესახებ, მაგალითად: *10 000 დოლარს მიხდიან, 5 000 ლარი გადამიხადეს, ამ თვეში უკვე 4 500 ლარი ვიშოვე, ბინადრობის მოწმობის ორი საქმეა 1 500 -იანი, ხალხი მეხვეწება, რომ საქმე ავიღო 2 200 ახლა მოგცემთ, 3 000 მერეო..* რომ *იმდენი შემოსავალი ჰქონდა, რომ პარლამენტარებს და მინისტრებს არ დაესიზმრებოდათ.* ასევე, წერდა, რომ რამდენიმე ბინის მფლობელი იყო და *10 ოჯახის შენახვა შეეძლო.* განმცხადებლის მოსაზრებით, ლ.ჯ. მსგავსი ფორმით ცდილობდა, ფულით მისი ინტერესი გამოეწვია და, ფაქტობრივად, საკუთარ თავს სთავაზობდა.

მეორე დღეს, 2020 წლის 26 ივლისს, ლ.ჯ. კვლავ შეეხმიანა განმცხადებელს, რამაც ნ.გ. უკიდურესად გააღიზიანა და უხეშად და კატეგორიულად მისწერა, რომ *ეკიდა სხვისი ფულები, სახლები და საბანკო ანგარიშები.* ამის საპასუხოდ, ლ.ჯ.-მ განმცხადებელს მიაყენა შეურაცხყოფა - უწოდა *უტვინო გოიმი, სოფლელი, რომ კაცთან მოქცევა არ იცის, არ აქვს ცოდნა და გამოცდილება, რომ არის ბოღმა, მას რა წონაც აქვს, დღეში იმდენ ფულს შოულობს და იგი არაფერს წარმოადგენს მასთან შედარებით.* განუცხადა, რომ *მალე კახი კალაძე მის ბილბორდებს გააკეთებს და კომპანიონები გახდებიან, ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსი გახდება, პარტიები მასზე ინადირებენ და მინისტრობაზე დაუწყებენ ხვეწნას და ის კი ისეთი არარაობაა, რომ ქმარი ალიმენტსაც კი არ უხდის, შვილები ჰყავს, განათხოვარია და თავს ისე იფასებს თითქოს რაიმეს წარმოადგენდეს.* ამის შემდგომ უთხრა - *აუდე ეხლა აქედან, სანამ კარგ ხასიათზე ვარ.* მოპასუხის სიტყვებმა განმცხადებელზე საშინლად იმოქმედა, თუმცა თავმოყვარეობის გამო ცდილობდა მასთან ეს არ შეემჩნია, უბრალოდ გაიცინა და დაუყოვნებლივ დაბლოკა.

1.1.2. პირადად შეხვედრა მოპასუხესთან

განმცხადებლის განმარტებით, მოპასუხესთან კომუნიკაციის დასრულების შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. რამდენადაც წარსულში იყო ძალადობის მსხვერპლი ყოფილი მეუღლის მხრიდან, ბოლომდე დაძლეული არ ჰქონდა ოჯახის დანგრევით გამოწვეული დეპრესია და ადვოკატის მხრიდან დახმარების მაგივრად მსგავსი სახის შეურაცხყოფის მიღება მისთვის უკიდურესად რთული და მძიმედ გადასატანი იყო.

ფეისბუქზე ლ.ჯ.-ს დაბლოკვიდან ზუსტად 2 კვირაში, 2020 წლის 8 აგვისტოს, ფეისბუქ ჯგუფში „დიღმის მასივი“ ერთ -ერთმა მაღაზიის მფლობელმა, დაწერა პოსტი, რომ ჰქონდა ზედმეტი პროდუქტი და გაჭირვებულ უბნელებს დაეხმარებოდა, რაზეც განმცხადებელმაც დააკომენტარა, რომ მასაც ჰქონდა დიდი რაოდენობით პროდუქტი დაგროვებული და ისიც გადასცემდა მას, ვისაც დასჭირდებოდა. კომენტარებში პასუხად მათ შეეხმიანა ქალი, რომელსაც ფეისბუქ პროფილზე ერქვა - M.M. და რომელმაც აღნიშნა, რომ ჰქონდა საკუთარი - „მ.ჭ.-ს საქველმოქმედო ფონდი“ და გამოთქვა სურვილი, რომ თავად წაიღებდა ამ პროდუქტს და ფონდის სახელით დაარიგებდა. მ.ჭ.-მ და განმცხადებელმა გაცვალეს საკონტაქტო ნომრები და შეთანხმდნენ, რომ მ.ჭ. კონკრეტულ დღეს გაივლიდა მასთან პროდუქტის წამოსაღებად. როდესაც მ.ჭ. პროდუქტის წასაღებად მივიდა, განმცხადებელს სთხოვა, რომ ქვემოთ ჩასულიყო და დახმარებოდა სახლამდე აყვანაში, რადგან ლიფტის ღილაკს თავად ვერ აგნებდა. როდესაც განმცხადებელი ქვემოთ ჩავიდა, მ.ჭ. მარტო იდგა. შევიდნენ ლიფტში, ვიდრე კარი დაიკეტებოდა, მ.ჭ-მ ვიღაცას დაუძახა *ჩქარა მოდიო* და ლიფტში შევიდა მამაკაცი. ნ.გ.-ს გაუჩნდა შეგრძნება, რომ ამ ადამიანს საიდანღაც იცნობდა, რაც მაშინვე იკითხა, თუმცა მამაკაცმა იუარა. პროდუქტების გადაცემისთანავე მ.ჭ.-მ დაჟინებით მოითხოვა, რომ განმცხადებელიც გაჰყოლოდა დასარიგებლად. განმცხადებელს უცნაურად მოეჩვენა ეს შეთავაზება და უარი განაცხადა, რაზეც მ.ჭ.-მ უპასუხა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში,მის

ფონდს დიდი პრობლემები შეექმნებოდა, რადგან ცილს დასწამებდნენ, თითქოს პროდუქტს არ არიგებდა და თვითონ მიჰქონდა სახლში. განმცხადებელი ძალიან დააბნია ამ ყველაფერმა, არ ესიამოვნა უჩვეულო დაჟინებულობა და კვლავ უარი უთხრა, მიზეზად დაასახელა, რომ ბავშვებს მარტო ვერ დატოვებდა. პასუხად შესთავაზეს, რომ ბავშვებიც თან წაეყვანა, რადგან სულ 2 წუთის საქმე იქნებოდა, მანქანით მიიყვანდნენ და შემდეგ უკან დააბრუნებდნენ. განმცხადებელმა უარი ვეღარ თქვა, ჩასხდნენ მანქანაში, წაიღეს პროდუქტი და გზად გაუარეს მეზობელ კორპუსში მაღაზიის მფლობელს, დახმარების პოსტის ინიციატორს. მ.ჭ.-ს თქმით, ინიციატორიც უნდა წასულიყო მათთან ერთად და ფონდის გვერდისთვის ვიდეო ჩაეწერა, თუმცა, მაღაზიიდან არავინ გამოსულა. განმცხადებელმა როდესაც მოიკითხა, თუ რატომ არ წამოვიდა მაღაზიის მეპატრონე, უპასუხეს, რომ არ ეცალა. ნ.გ.-ს ძალიან არ ესიამოვნა ეს ვითარება, ასევე მოსვენებას არ აძლევდა ის ფაქტი, რომ მ.ჭ.-ს თანმხლები კაცი ეცნობოდა, თუმცა კითხვებისგან თავს იკავებდა.

გზაში მ.ჭ.-ს ტელეფონზე დაურეკეს, რა დროსაც მან ახსენა ლ.ჯ.-ს სახელი. სახელის გაგონებაზე განმცხადებელს გაახსენდა, რომ კაცი ფეისბუქის მიმოწერიდან ეცნობოდა, ძალიან ანერვიულდა და დაიბნა, თუმცა, ვინაიდან ბავშვები ახლდნენ ცდილობდა, არაფერი შეემჩნია.

განმცხადებლის განმარტებით, როდესაც სახლთან დაბრუნდნენ და ნ.გ.-მ მანქანიდან ჩასვლა დააპირა, მოულოდნელად მ.ჭ. აყვირდა, ისტერიული და განერვიულებული ტონით მიმართავდა ლ.ჯ.-ს: *დიდი მადლობა ბატონო ლ., რომ ასე ეხმარები ჩემს ფონდს! კმაყოფილი ხარ?! ახლა უკვე იცი ამ გოგოს ნომერიც, ამ გოგოს მისამართიც და შეგიძლია ურეკო და მიაკითხო ჩემი ფონდის გარეშე რამდენჯერაც გინდა!* აღნიშნულზე მოპასუხემ უპასუხა - *დაწყნარდი, უბრალოდ ჩემი კლიენტია, რა მოხდა მერე,* მ.ჭ-მ კი დაამატა - *ძალიან კარგად ვიცი, როგორც გხვდებიან შენი კმაყოფილი კლიენტები და ეს ის შემთხვევა ნამდვილად არ არის, უკვე მერამდენე შემთხვევაა რომ ასე იქცევი და მეც და ჩემს ფონდს ასე იყენებ.* მოპასუხემ ამაზე უპასუხა: *უბრალოდ ნევროზი გაქვს და მეტი არაფერი არ ხდება, მეუღლე ჰყავს რეებს ამბობო,* რაზეც მ.ჭ.-მ უპასუხა - *კარგად იცი, რომ არ ჰყავსო.* განმცხადებელმა მ.ჭ.-ს უთხრა, რომ *მისგან სანერვიულო არაფერი იყო* და სასწრაფოდ ჩავიდა მანქანიდან.

სახლში დაბრუნების შემდეგ განმცხადებელი ძალიან აფორიაქებული იყო, ვერ ხვდებოდა, რატომ დაიჟინეს ლ.ჯ.-მ და მ.ჭ.-მ, რომ ის მანქანაში ჩამჯდარიყო. ნ.გ.-მ ხელახლა გადახედა მათთან მიმოწერას, ასევე მოისმინა, პროდუქტის გადაცემასთან დაკავშირებით, ნ.ჭ-სგან მიღებული ხმოვანი შეტყობინებები, რომელშიც აღმოაჩინა, რომ პირველი კონტაქტისას გამოგზავნილ შეტყობინებაში, ჯერ ისმოდა ლ.ჯ.-ს ხმა, შემდეგ კი იმავეს მ.ჭ. იმეორებდა. შეტყობინების დასასრულს, გარკვევით ისმის, რომ მოპასუხემ მ.ჭ-ს ორჯერ უთხრა - *უთხარი რომ წამოვიდეს, უთხარი რომ წამოვიდეს,* ამის შემდეგ მ.ჭ.-მ უპასუხა, რომ *კარგი იქნება თუ გაყვება მას პროდუქტების დასარიგებლად.* ამ ფაქტის შემდეგ განმცხადებელი ძალიან დაძაბული და შეშინებული იყო.

1.1.3. შემდგომი ფეისბუქ მიმოწერა მოპასუხესთან

რამდენიმე დღეში ლ.ჯ.-მ განმცხადებელს სხვა, მეორე ფეისბუქ პროფილიდან გაუგზავნა მეგობრობის თხოვანა, ასევე, იწონებდა მის ფოტოებსა და პოსტებს. განმცხადებელმა მეორე პროფილიც დაბლოკა. ამ ფაქტის შემდეგ ნ.გ.-ს განუვითარდა შიში, ბავშვების გასეირნებისას, ეგონა, რომ მოპასუხე მას უთვალთვალებდა.

სექტემბრის თვეში, განმცხადებელმა ფეისბუქ გვერდზე ნახა ორგანიზაცია „საფარის“ პოსტი სექსუალური შევიწროების შესახებ, რომელზეც დაწერა კომენტარი მისი შემთხვევის შესახებ. 2020 წლის 6 სექტემბერს ნ.გ. დაუკავშირდა საფარის ადვოკატს, ე.რ.-ს, და შეატყობინა, რომ ძალიან ეშინოდა გავლენიანი ადვოკატის, ამიტომაც საჯაროდ დაწერილი კომენტარი წაშალა და პირად შეტყობინებაში მისწერდა გარემოებებს.

აღნიშნული ფაქტის შემდგომ, 2020 წლის 14 ოქტომბერს, ლ.ჯ.-მ უკვე მესამე ახალი ფეისბუქ პროფილიდან ისევ გაუგზავნა განმცხადებელს მეგობრობის თხოვნა, ასევე მოიწონა მისი პოსტები და კომენტარები „დიღმის მასივის“ ჯგუფში. აღნიშნულმა ფაქტმა ძალიან გააღიზიანა განმცხადებელი და ლ.ჯ.-ს მისწერა, *იმ ყველაფრის შემდეგ კიდევ როგორ ბედავდა მისთვის მეგობრობის გამოგზავნას და დაკონტაქტების მცდელობას,* ასევე, კატეგორიულად მოსთხოვა, თავი დაენებებინა მისთვის და შეეწყვიტა დევნა. თავდაპირველად, მოპასუხემ იუარა, ხოლო შემდგომ მოულოდნელად დაიწყო საყვედური - *რატომ არ მწერ, მე გნახე და შენ რომ არ მწერ ნიტო საქციელია* და *პასუხებს რატომ მიგვიანებ, 2 საათის მერე რატომ მწერ, პირველი დიალოგის დროს რატომ დამბლოკე.* ამასთან, მოპასუხე ხშირად ახსენებდა განმცხადებლის შვილებს, თან ეკითხებოდა, მარტო ცხოვრობდა თუ არა. წერდა, რომ *მოსწონდა და რომ მისი იგნორირებით დაიღალა, კენჭს იყრის მალე და მისთვისვე აჯობებდა, რომ ხმა მისთვის მიეცა.* განმცხადებელმა კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება და მესამე პროფილზეც დაბლოკა.

ამ ამბის შემდეგ, როდესაც ლ.ჯ.-მ გაიგო განმცხადებლის მიერ შესაბამის უწყებებში გაკეთებული საჩივრების შესახებ, 2020 წლის 4 ნოემბერს ორჯერ სცადა განმცხადებელთან დაკავშირება, შემდეგ კი 6 ნოემბერს, 14:07 საათზე ნ.გ.-ს დაუკავშირდა მისთვის უცნობი ნომრით, რომელიც დაფიქსირებულია მოპასუხის სავიზიტო ბარათზე. სატელეფონო საუბრისას, განმცხადებელმა ლ. ჯ. გააფრთხილა, რომ აღარ დაერეკა მის ნომერზე, რამაც იგი უკიდურესად გააღიზიანა, დაიწყო მუქარა და მოითხოვა შეხვედრა და სიტუაციის გარკვევა, რაზეც კვლავ კატეგორიული უარი მიიღო.

იმავე დღეს, 6 ნოემბერს განმცხადებელმა ზარის შესახებ აცნობა ორგანიზაცია „საფარის“ ადვოკატს, ე.რ.-ს, რა დროსაც ადვოკატმა შეატყობინა, რომ 25 ოქტომბერს, ლ.ჯ. დაქორწინდა მ.ჭ.-ზე. ასევე, ლ.ჯ.-მ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა საჩივრით, თითქოს განმცხადებელი მას დევნიდა და ავიწროებდა. აღნიშნულ განცხადებაზე გამოძიება არ

დაწყებულა. გარდა ამისა, მოპასუხემ განმცხადებლის ფეისბუქ გვერდიდან ფარულად გადმოწერა ისეთი ფოტოები, რომლებიც სექსუალური ვიზუალით გამოიჩევა, უნებართვოდ განათავსა თავის ჯგუფში და საჯარო ცილისწამებას შეუდგა. ამის შედეგად, ჯგუფის ბევრი წევრი განმცხადებელს ლანძღავს. ამასთან, მტკიცებულებების შექმნის მიზნით, ლ.ჯ.-მ ფორმალურად დაბლოკა განმცხადებელიც.

საჯაროდ განხორციელებული ქმედებების გამო განმცხადებელმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. **შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დათვალიერებული იქნა ნ.გ.-ს ტელეფონი, სოციალური ქსელი და ამის საფუძველზე, ლ.ჯ.-ს მიმართ, გამოიცა შემაკავებელი ორდერი N008554 - ფსიქოლოგიური ძალადობის, ადევნების და საჯარო შეურაცხყოფის ფაქტზე.** ასევე, განმცხადებელმა დამატებით მიმართა პროკურატურას ადევნების მიმართულებით გამოძიების დაწყების თაობაზე. ლ.ჯ.-ს მხრიდან უკვე განხორციელებული ქმედებების გამო განმცხადებელს დაეწყო შფოთვა, რის გამოც ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდა.

1.2. მოპასუხე ლ.ჯ.-ს პოზიცია

საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა მოპასუხე ლ. ჯ.-სგან. 2020 წლის 16 ნოემბერს მოპასუხემ სახალხო დამცველს წარმოუდგინა თავისი პოზიცია, რომელშიც აღნიშნა, რომ იგი არ არის განმცხადებლის მიერ დასახელებული იურიდიული კომპანიის ადვოკატი და მისი წარმომადგენელი არასდროს ყოფილა. იგი ფეისბუქით კონსულტაციებს არასდროს გასცემს, მასთან კონსულტაცია შესაძლებელია ოფისში და ღირებულება შეადგენს 70 ლარს. მას შემდეგ, რაც დაქორწინდა, განმცხადებელი ცდილობს, მის კლიენტად წარმოაჩინოს თავი. მან ნ.გ. დაბლოკა და არ იცნობს, ბოლო 3 თვის მანძილზე მისი ფეისბუქი არაერთხელ გატყდა და მინაწერები არ იკითხება, თუკი განმცხადებელი წუხდებოდა, შეეძლო, უბრალოდ დაებლოკა. მოპასუხე მიუთითებს, რომ განმცხადებლისთვის ტელეფონის ნომერი არასოდეს უკითხავს, არც დაურეკავს და არც შეხვედრა უთხოვია მისთვის. მოპასუხის აზრით, მას შემდეგ, რაც ნ.გ.-მ შეიტყო, რომ იგი დაქორწინდა, ეჭვიანობის გამო ცდილობს შური იძიოს მასზე.

2020 წლის 1 დეკემბერს ლ.ჯ.-მ დამატებით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლითაც აღნიშნა, რომ იგი არის მოქმედი ადვოკატი. მას ნ.გ. თავად დაუკავშირდა, სოციალურ ქსელ ფეისბუქში დაუმეგობრდა და ჰქონდათ მეგობრული მიმოწერა, რა დროსაც, მან წინასწარი განზრახვით, მოხერხებულად მოიპოვა მოპასუხის ნდობა და მიიღო ინფორმაცია პირადული, პროფესიული და კომერციული საიდუმლოებების შესახებ, ასევე შეიტყო მისი მტრების შესახებ და თუ რა სამართლებრივი მეთოდებით და სტრატეგიებით ებრძოდა მათ. ლ.ჯ.-ს მითითებით, მიმოწერაში ნ.გ. მის მიმართ სიმპათიას გამოხატავდა, რაც, ჩვეულებრივ, იყო ორმხრივი დიალოგი. მიმოწერა გაგრძელდა ორი დღის მანძილზე - 25 და 26 ივლისს.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ ზაფხულის პერიოდში, 8 აგვისტოს, ნ.გ.-მ, სავარაუდოდ, ფეისბუქ ფოტოებისა და სტატუსების მიხედვით, გაიგო თუ ვინ იყო მისი საცოლე - მ.ჭ. და რომ იგი

საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. განმცხადებელი დაუკავშირდა მ.ჭ.-ს და შესთავაზა გლდანში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახის დახმარება. ნ.გ.-მ მ.ჭ.-ს მიაწოდა თავისი ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი მისამართი. დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში მ.ჭ.-მ მოპასუხეს სთხოვა, დასახმარებლად დიღმის მასივში გაჰყოლოდა. როდესაც საცხოვრებელ სახლთან მივიდნენ, თავდაპირველად ელოდა მანქანაში, შემდგომ გადავიდა, რათა დახმარებოდა პროდუქტების წამოღებაში. მ.ჭ. და ლ. ჯ. შევიდნენ სადარბაზოში, სადაც დახვდათ ქალი, რომელმაც პროდუქტები გამოიტანა. როდესაც შეატყო, რომ ეს ქალი მათ ეჭვის თვალით უყურებდა, შესთავაზა, გაჰყოლოდა გლდანში და თავად დასწრებოდა პროდუქტების დარიგებას, რომ დარწმუნებულიყო მათ კეთილსინდისიერებაში. ქალმა თან ორი შვილი წამოიყვანა და ლიფტში შესვლისას მოპასუხეს გამომწვევად დაუწყო ყურება და ლაპარაკი - *ლ., მე შენ გიცნობ* და *ლამის შეახტა და ჩაეხუტა მას.* აღნიშნულზე მ.ჭ.-ს სახეზე ჰქონდა მწვავე რეაქცია, თუმცა, ღიად არ გამოუხატავს. მოპასუხემ ქალი ვერ იცნო, რადგან ცხოვრებაში სხვანაირად გამოიყურებოდა. ლ.ჯ.-ს მითითებით, მანქანაში ჩასხდომისას, ქალი გამომწვევად იქცეოდა - მოითხოვა მუსიკის ხმის აწევა, ცდილობდა მასთან კომუნიკაციას. ამაზე მ.ჭ. ბრაზდებოდა, თუმცა არ გამოხატავდა. გზად კიდევ ერთი ადგილიდან აიღეს პროდუქტები და მივიდნენ გლდანში, დაეხმარნენ ბენეფიციარ ოჯახს, რომელმაც, მადლობის ნიშნად, ვიდეო ჩაწერა, რომლითაც მ.ჭ.-ს ფონდსა და კეთილ ადამიანებს უხდიდა მადლობას. ამის შემდეგ, ქალი მიაცილეს სახლში და მომდევნო 3 თვის განმავლობაში, მასთან კომუნიკაცია არ ჰქონია.

წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ლ.ჯ.-მ ასევე აღინიშნა, რომ 25 ოქტომბერს დაქორწინდა მ.ჭ-ზე, რისი ამსახველი ფოტოებიც სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. ზუსტად ერთ კვირაში, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნ.გ.-მ მათი პირადი მიმოწერები, კონტექსტიდან ამოგდებულად, შეიტანა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში, რითაც მიზანმიმართულად გახადა ხელმისაწვდომი იმ პირებისთვის, ვისაც მოპასუხე მტრებად თვლიდა. მას აქვს თავისივე სახელობის საადვოკატო ბიურო - „ადვოკატი ლ.ჯ.-ს/advokati l. J.is“ ჰყავს 12 000 გამომწერი და ასევე მართავს ჯგუფს - „ადვოკატი ლ.ჯ.-ს მასმედია“, სადაც 100 000 ადამიანია გაწევრიანებული, ჰყავს 4 000 ფეისბუქ მეგობარი. მოპასუხე აღნიშნავს, რომ როდესაც უთხრეს, რომ ნ.გ.-მ საჩივარი წარადგინა მის წინააღმდეგ, მან განმცხადებელი ვერ გაიხსენა. მისი მოსაზრებით, განმცხადებელმა მისი ნდობა ბოროტად გამოიყენა და ყველა ინფორმაცია, რაც მას გაანდო (რადგან მეგობრად თვლიდა), მიაწოდა მის მტრებს, რომლებთანაც დღემდე სამართლებრივი დავა აქვს.

2020 წლის 24 დეკემბერს მოპასუხემ კიდევ ერთხელ წარმოადგინა დამატებითი პოზიცია, რომელშიც აღნიშნა, რომ განმცხადებელი ცილს სწამებს და თავად ახდენს მის შანტაჟსა და დისკრედიტაციას, როდესაც თავს წარმოაჩენს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად. აღნიშნული ლახავს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. მოპასუხის განმარტებით, ნ.გ.-მ სახალხო დამცველს წარუდგინა მისი სახელობის ყალბი ფეისბუქ ანგარიშები, მართლმსაჯულების განზრახ შეცდომაში შეყვანის მიზნით, რასთან დაკავშირებითაც,

საჩივრით უკვე მიმართა პროკურატურას. მოპასუხის შეფასებით, ნ.გ. მასზე მანიპულირებდა და ამ გზით ცდილობდა მისგან უფასოდ მიეღო სამართლებრივი დახმარება, რაზეც უარი უთხრა და შესთავაზა ადვოკატის აყვანა. მას განმცხადებლისთვის შეხვედრა არასდროს უთხოვია, არც ტელეფონის ნომერი გამოურთმევია. შეეძლო, მ.ჭ.-სგან ფარულად მოეპოვებინა განმცხადებლის ტელეფონის ნომერი და შეეწუხებინა, რაც არ გააკეთა, რადგანაც არ ჰქონდა მსგავსი ინტერესი. იგი მხოლოდ ერთხელ დაუკავშირდა განმცხადებელს, 2020 წლის 6 ნოემბერს, როდესაც შეიტყო, რომ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია განიხილავდა საჩივარს მის წინააღმდეგ, რადგან ვერ იხსენებდა, თუ ვინ იყო ადამიანი, ვინც მას უჩიოდა.

2020 წლის 31 დეკემბერს სახალხო დამცველს ლ.ჯ.-მ მომართა განცხადებით, რომლითაც აღნიშნა, რომ მიუხედავად საგამოძიებო ორგანოსათვის მიმართვისა - დაეწყოთ გამოძება მისი სახელით ყალბი ინტერნეტ პროფილების შექმნა-გამოყენების თაობაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიება არ დაუწყია. ამასთან, მიმდინარე საქმის ფარგლებში, მოითხოვა მის მიმართ ნ.გ.-ს მხრიდან გენდერული ნიშნით სექსუალური შევიწროების საკითხის შესწავლა.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ სამართლებრივი სტანდარტი და მისი აკრძალვის მნიშვნელობა

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და აღიარებს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3[2] პუნქტის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის *სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.* ანტიდისკრიმინაციული კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვა ნებისმიერ სივრცეში განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებას ფარავს - ეს შეიძლება იყოს სამუშაო ადგილი, საგანმანათლებლო სივრცე, სამედიცინო სივრცე, საჯარო სივრცე - საზოგადოებრივი ტრანსპორტის, კვების/გასართობი/დასასვენებელი ობიექტების ჩათვლით, და სხვა ნებისმიერი სივრცე, სადაც სექსუალური შევიწროების ფაქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW)[1] გაეროს კომიტეტმა, N19 ზოგადი კომენტარით, სექსუალური შევიწროება მიიჩნია ქალთა მიმართ

[1]„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს 1979 წლის კონვენციას საქართველო მიუერთდა 1994 წელს; ხელმისაწვდომია: https://indicators.ohchr.org/

ძალადობის ფორმად, რომლის გამოვლინებაც რეალურ საფრთხეს უქმნის თანასწორობას.[2] ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენცია („სტამბოლის კონვენცია“)[3] ყველაზე ქმედითი საერთაშორისო ინსტრუმენტია ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური შევიწროების, წინააღმდეგ. სტამბოლის კონვენცია აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად უთანასწორო ურთიერთობის მანიფესტაცია, რომელმაც გამოიწვია მამაკაცების დომინირება და ქალთა მიმართ დისკრიმინაცია.[4] კონვენციის მე-40 მუხლი სექსუალურ შევიწროვებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას[5].

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე[6].

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი არ აფიქსირებს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამორიცხავს შემავიწროებელი პირის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა (ought to have known), რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის. აღნიშნული მიდგომა აწესებს სექსუალური შევიწროებისათვის სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კომპონენტი არის შემავიწროებლის დამოკიდებულება მისი ქცევის მიმღებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი ყურადღებას

---

[2] UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), *CEDAW General Recommendation No. 19: Violence against women*, 1992, §1; ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/docid/52d920c54.html

[3] ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 2017 წლის 19 მაისს. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35OrhNC

[4] ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კონვენცია, CETS 210, 2011, პრეამბულა.

[5] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, §208, გვ.33-35, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16800d383a

[6] Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof, Evidentary Issues, ხელმისაწვდომია: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-basedharassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154

ამახვილებს, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული, გონივრულობის ფარგლებში, მესამე პირის მიერ[7].

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს ერთი ცალკე მდგომი შემთხვევით, ან შეიცავდეს სხვადასხვა სახის ქცევათა კასკადს. „quid pro quo“ სექსუალური შევიწროებისაგან განსხვავებით, სადაც ერთი იზოლირებულად მდგომი ინციდენტი, მისი სიმძიმის გათვალისწინებით, სექსუალურ შევიწროებად შეიძლება ჩაითვალოს, სექსუალური შევიწროებით მტრული გარემოს შექმნა, როგორც წესი, ხასიათდება მრავალჯერადი შეურაცხმყოფელი ინციდენტებით, რომელთა ინდივიდუალურად შეფასება შესაძლოა არც კი იძლეოდეს სექსუალური შევიწრეობის შემადგენლობას.[8]

ბრიტანეთის შრომის სააპელაციო ტრიბუნალმა საქმეში Bracebridge Engineering LtD v Darby დაადგინა, რომ მხოლოდ ერთი ინციდენტიც, თუ საკმარისად სერიოზულია, საკმარისია დარღვევის დასადგენად. საქმეში James v Eastleigh Borough Council კი ლორდთა პალატამ (House of Lords) დაადგინა, რომ დისკრიმინაციის დადგენისათვის არ არის აუცილებელი მოტივის ან განზრახვის არსებობა. შესაბამისად, გამოიყენება ამერიკის სასამართლოების ტესტი „გავლენა მსხვერპლზე“ (“impact on the victim”), და არა „შემავიწროებლის განზრახვა“[9].

სექსუალური შევიწროვება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს და აქვს დამაზიანებელი ეფექტი იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ვის წინააღმდეგაც არის მიმართული[10].

2.2. სექსუალური შევიწროება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ვიდეო მტკიცებულებების თანახმად, სადაც უწყვეტი სახით წარმოდგენილია მხარეთა შორის არსებული ყველა დიალოგი, 2020 წლის 25 ივლისს ლ.ჯ. ფეისბუქის მესენჯერით თავად დაუკავშირდა განმცხადებელს პროფილიდან - ადვოკატი ლ.ჯ. უპირველესად,

---

[7] Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 2.1. Defining Sexual Harassment, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-genderbasedharassment/2-identifying-sexual-harassment#_ftn11

[8] Deborah A. Campbell, *„The Evolution of Sexual Harassment Case Law in Canada“,* 1992, გვ. 14; ხელმისაწვდომია: https://irc.queensu.ca/sites/default/files/articles/campbell-the-evolution-of-sexual-harassment-case-law-in-canada_0.pdf. ასევე, იხ.: Sally A. Piefer, *„Sexual Harassment from the Victim's Perspective: The Need for the Seventh Circuit to Adopt the Reasonable Woman Standard“,* Marquette Law Review, Vol. 77, Issue 1, Article 5, 1993, გვ. 95, ხელმისაწვდომია: https://scholarship.law.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1605&context=mulr

[9] Women, Gender and Work what is equality and how we get there ? edited my Martha Fetherolf Loutfi, international labour organization 2001, international labour office Geneva, page 521

[10] The dignity of women at work, a report on the problem of sexual harassment in the member states of the European communities parts I- II, Luxembourg: office for official publications of the European communities, 1988, Michael Rubenstein, page 10-11

მნიშვნელოვანია, შეფასდეს ლ.ჯ.-ს მხრიდან სავარაუდო სექსულური შევიწროებას ადგილი ჰქონდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, თუ სახეზეა უცხო პირის მხრიდან სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი. მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ან სხვა სახის განსაზღვრა, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვნად განაპირობებს ფაქტის სექსუალურ შევიწროებად დაკვალიფიცირების საკითხს.

„ადვოკატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი). ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები[11]. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან **ურთიერთშეთანხმების** საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა. შესაბამისად, იმ ეტაპიდან, როდესაც პირი მიმართავს ადვოკატს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, გაანდობს მას საქმის თაობაზე ინფორმაციას და მიიღებს იურიდიულ რჩევას ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ნორმების დაცვის ვალდებულება.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურება წარმოადგენს სახელშეკრულება ურთიერთობას, რომლისთვისაც, აუცილებელია, მხარეთა შორის შედგეს ურთიერთშეთანხმება. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანმხვედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთიდაიმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისკენ. სახელშეკრულებო ურთიერთობისას, მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც მხარეები ცდილობენ, შესაძლებელია, მხოლოდ კონსესუსის შედეგად დადგეს. ხელშეკრულების დადება, როგორც წესი, ხორციელდება ორი თანმხვედრი ნების გამოვლენის - ოფერტის და აქცეპტის მეშვეობით. სწორედ ოფერტის აქცეპტირება ანუ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების გაკეთება და მეორე მხარის მიერ მისი მიღება წარმოადგენს ხელშეკრულების დადების წინაპირობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ხოლო, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ[12]. კანონი არ განსაზღვრავს არსებითი პირობების ჩამონათვალს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. არსებით პირობათა წრე ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შესაბამისად განისაზღვრება მხარეთა მიერ. აუცილებლად, ანუ არსებითად

[11] საქართველოს კანონი „ადვოკატის შესახებ", მუხლი 5, პუნქტი „ა", „ბ"
[12] საქართველოს კანონი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", მუხლი 327, ნაწილი 2

მიჩნეულ უნდა იქნას პირობები, რომლებიც გამოხატავენ შესაბამისი ხელშეკრულების ბუნებას. ტრადიციულად, როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა საკითხთა წრე, რომელზე მხარეთა შეთანხმება აუცილებლადაა მიჩნეული - ესაა ხელშეკრულების საგანი, ფასი და ხელშეკრულების ვადა. თუმცა, აღნიშნული ვერ იქნება გამოყენებული ყველა ტიპის ხელშეკრულების მიმართ, მაგ. ფასი ყველა ხელშეკრულებისთვის ვერ იქნება არსებითი პირობა, რადგან არსებობს ე.წ. უსასყიდლო ხელშეკრულებებიც.

როგორც უკვე აღინიშნა, ხელშეკრულების დადებისათვის, აუცილებელია, ორი თანმხვედრი ნების - ოფერტისა და აქცეპტის არსებობა. ოფერტი - ეს არის შეთავაზება, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ ხელშეკრულების დადების მიზნით[13]. ოფერტის ნამდვილობისთვის ასევე საჭიროა, რომ წინადადების მიმცემი თანხმობის შემთხვევაში მზად იყოს შეასრულოს თავისი წინადადება. აღნიშნული გულისხმობს, რომ წინადადების მიმცემს ამოძრავებს სახელშეკრულებო ბოჭვის სურვილი, იგი მზად არის სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში იკისროს შესაბამისი ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუ ხელშეკრულების დადება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით მოხდა, მაშინ ოფერტში აუცილებლად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ოფერენტის ნება და მზაობა, რომ მისი წინადადებით შებოჭილიყო. ამასთანავე, აუცილებელია, რომ ოფერენტის მხრიდან ჩანდეს თანხმობა იმის შესახებ, რომ თუ მისივე ოფერტის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულება დაიდება, ოფერენტი შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს[14].

სოციალურ სივრცეში სამართლებრივი კონსულტაციის მიღების საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილ სტანდარტებზე. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაციში, სადაც მოხდა შეფასება იმისა, სოციალურ ქსელში დასმულ სამართლებრივ კითხვაზე ადვოკატის გამოხმაურებისა და კონსულტაციის გაწევის შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოიშობა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, აღნიშნულია, რომ სოციალურ ქსელში სამართლებრივი შეკითხვის განთავსებით ივარაუდება, რომ შეკითხვის ავტორს სურს მიიღოს კვალიფიციური პასუხი. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვის ავტორის სამართლებრივი შეკითხვა კონკრეტულად არაა მიმართული რომელიმე ადვოკატის მიმართ, ეს არ ათავისუფლებს ადვოკატს, დაიცვას პროფესიული სტანდარტები იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის თავისი ინიციატივით გასცემს პასუხს სოციალურ ქსელში დასმულ შეკითხვას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ადვოკატი ახორციელებს

[13] იქვე, მუხლი 329

[14] ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, თბილისი, 2014, გვ. 118, ხელმისაწვდომია: http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf

საადვოკატო საქმიანობას და, შესაბამისად, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა[15].

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ვიდეო მტკიცებულების საფუძველზე, სადაც ასახულია 2020 წლის 25-26 ივლისის კომუნიკაცია, მოპასუხის მხრიდან არ იკვეთება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების, კერძოდ სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის განზრახვა. მისალმებისთანავე მოპასუხემ განმცხადებელთან დიალოგი შემდეგი კითხვით დაიწყო - ***როგორ უნდა მივმართო გოგოს, რომელმაც დამაინტერესა*** და შემდგომ გააგრძელა გაცნობითი შეკითხვების დასმა, რითაც იკვეთება, რომ ლ.ჯ.-ს მიზანს წარმოადგენდა არა იურიდიული კონსულტაციის გაწევა, არამედ ნ.გ.-ს გაცნობა. მას შემდეგ, რაც ლ.ჯ.-მ პროფესიული საქმიანობიდან დეტალები ახსენა, განმცხადებელმა საკუთარი შემთხვევის შესახებ დაიწყო მოყოლა ისე, რომ სამართლებრივი კონსულტაციის მიღების აშკარა ნება არ გამოუხატავს, რამდენადაც, ამ ეტაპზე, ის ვარაუდობდა, რომ ლ.ჯ. იმ იურიდიული კომპანიის წარმომადგენელი იყო, რომელსაც განმცხადებელი დაუკავშირდა და, შესაბამისად, ამისი საჭიროება არ არსებობდა. ამასთან, ნ.გ.-ს მიერ მოპასუხისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე, ლ.ჯ.-მ ზოგადი ხასიათის პასუხები გასცა და კონკრეტული სამართლებრივი ინტერესი მისი საქმის მიმართ არ გამოუვლენია. მართალია, იურიდიულ კომპანიასთან კომუნიკაციასა და დისტანციური კონსულტაციის მიღების მოლოდინს დროში დაემთხვა ფეისბუქ პროფილის გამოჩენა სახელწოდებით „ადვოკატი ლ.ჯ.“, რამაც ხელი შეუწყო განმცხადებლის მხრიდან სუბიექტურ აღქმას, რომ იგი ამ კომპანიის ადვოკატი იყო, თუმცა, მისი მხრიდან მხოლოდ სუბიექტური აღქმის არსებობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის სამართალურთიერთობის წარმოშობის წინაპირობად, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა, არ იკვეთება ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი წინაპირობა - მოპასუხის ნება, შეასრულოს პროფესიული საქმიანობა. მოცემულ შემთხვევაში, სახალხო დამცველი ვერ იხელმძღვანელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილი სტანდრატით, რამდენადაც აღნიშნული ეხება საჯაროდ დასმულ სამართლებრივ შეკითხვას, რა დროსაც, პირს, რომელიც პასუხს სცემს კითხავს, აქვს ობიექტური შესაძლებლობა გააცნობიეროს რომ კითხვის ავტორს სურს სამართლებრივი კონსულტაციის მიღება, ამასთან, მსგავს შემთხვევაში, კონსულტაციის გამწევს გააჩნია ნების ავტონომია, გადაწყვიტოს შევიდეს თუ არა შეკითხვის ავტორთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში. შესაბამისად, სახალხო დამცველის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა როგორც ადვოკატის, არამედ უცხო პირის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი.

საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ლ.ჯ.-ს მხრიდან განხორციელებული ქმედებები ხასიათდება **ინტენსიურობითა** და **განმეორებადობით**. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სქრინშოთებით, სადაც ასახულია,

[15] ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 03 ივლისის რეკომენდაცია N011/13, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2N0eC4A

მეგობრობის თხოვნების გაგზავნის ფაქტები, დასტურდება, რომ მოპასუხეს რამდენჯერმე ჰქონდა ნ.გ.-სთან კომუნიკაციის მცდელობა, რისთვისაც სხვადასხვა ფეისბუქ პროფილიდან მეგობრობის თხოვნას აქტიურად უგზავნიდა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის მიხედვით, პირმა სახალხო დამცველს/სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, **სავარაუდო შემავიწროებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან არასასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას ადგილი არ ჰქონია.** სავარაუდო შემავიწროებლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის მხოლოდ ზოგადი უარყოფა არ იქნება წონადი არგუმენტი თუ მას უპირისპირდება მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება[16]. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი ფაქტების უარყოფის მიზნით, მოპასუხეს წონადი არგუმენტები არ წარმოუდგენია. ამასთან, ლ.ჯ.-ს მიერ მითითებული გარემოებები შეიცავს ფაქტობრივ უსწორობებს, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების სანდოობას. მოპასუხე უთითებს, რომ მას განმცხადებელი თავად შეეხმიანა, წინასწარი განზრახვით, მოიპოვა მისი ნდობა და მის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია შეიტყო. საქმეში არსებული ვიდეო მტკიცებულებით, სადაც სრულად არის ასახული მხარეთა კომუნიკაცია 2020 წლის 25-26 ივლისს, ნათლად დასტურდება, რომ სწორედ მოპასუხეა დიალოგის ინიციატორი და ის თავისი ნებით აწვდის მისი და მისი კლიენტების შესახებ ინფორმაციას. საგულისხმოა ისიც, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მიმოწერებში, ლ.ჯ. თვითონვე ადასტურებს გარკვეულ გარემოებებს, როდესაც არ ახდენს განმცხადებლის მიერ მიწერილი ფაქტების უარყოფას. სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის მიერ 2020 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილ განცხადებაზე, რომელშიც თავადვე უთითებს, რომ მიუხედავად მიმართვისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დაიწყო გამოძიება განმცხადებლის მხრიდან მოპასუხის სახელით ყალბი ინტერნეტ პროფილების შექმნა-გამოყენების ფაქტზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გამოძიების არ დაწყების ფაქტი მიუთითებს, რომ არ არსებობს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი. ამასთან, სახალხო დამცველი დამატებით განმარტავს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ე.წ. სქრინშოთებისა და ვიდეოების ავთენტურობასთან მიმართებით, სახალხო დამცველს არ გააჩნია ეჭვის შეტანის საფუძველი. მხარეთა შორის 2020 წლის 25-26 ივლისსა და 12 ოქტომბერს შემდგარი კომუნიკაციის სანდოობა ასევე დადასტურებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 25 დეკემბრის F20001334 ოქმით ფაქტების კონსტატაციის შესახებ.

[16] The U.S. Equal Employment Opportunity Commission, "*Policy guidance on current issues of sexual harassment*", Guidance – B, გვ. 5; ხელმისაწვდომია: https://www.eeoc.gov/policy/docs/currentissues.html

სექსუალური შევიწროება, დეფინიციის მიღმა, მოიცავს ცალკეულ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც ქმედების შეფასების ინდიკატორებს წარმოადგენენ. **თითოეული ინდიკატორი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ერთობლიობაში ქმნის ან არ ქმნის სექსუალური შევიწროების მოცემულობას.** ცალკეული ინდიკატორები, რა თქმა უნდა, არ არის სექსუალური შევიწროების დადგენის აბსოლუტური წინაპირობა და კონკრეტული ფაქტის შესასწავლად მთლიან კონტექსტს უნდა მიექცეს ყურადღება.

სექსუალური ხასიათის ქცევა

განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან იგი შეთანხმებული იყო კონკრეტულ იურიდიულ კომპანიასთან, რომ მათი ადვოკატი დაუკავშირდებოდა ონლაინ, ეჭვი არ შეუტანია, რომ ლ.ჯ. შესაძლოა, სხვა ადვოკატი ყოფილიყო, რამდენადაც წერდა ფეისბუქ პროფილიდან - „ადვოკატი ლ.ჯ.“. ამასთან, როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 25-26 ივლისის მიმოწერის ამსახველი ვიდეომასალით დასტურდება, მოპასუხე ყოველ წინადადებაში ცდილობდა თავი წარმოეჩინა ყოვლისშემძლე ადვოკატად - უგზავნიდა საქართველოს ბანკის პირადი ანგარიშების სქრინებს და ახდენდა იმის დემონსტრირებას, თუ რა თანხებს ურიცხავდნენ მას კლიენტები. შესაბამისად, ვიანიდან განმცხადებელს ჰქონდა აღქმა, რომ ესაუბრებოდა ადვოკატს, საუბარი მიჰყავდა ალიმენტის საკითხის ირგვლივ. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხე ცდებოდა ალიმენტის საკითხს და დიალოგისას განმცხადებელს ეუბნებოდა, რომ მოსწონს, ესიმპათიურება, მას შემდეგ, რაც თავისი სავსე მაცივარი აჩვენა, ჰკითხა, თუ რამდენად მოსწონდა; უგზავნიდა თავის სურათებსა და ვიდეოებს და სთხოვდა, მასაც გაეგზავნა ფოტოები. მოპასუხემ დიალოგისას ახსენა, რომ *ცუდ ქმარს კარგი საყვარელი სჯობს,* ალიმენტთან დაკავშირებით საუბრის დასასრულს კი განმცხადებელს უთხრა, რომ *შეშვებოდა წყლის ნაყვას და ღირსეული ვინმე ეპოვნა, ვინც გააძლიერებდა.* ლ.ჯ.-ს მხრიდან მსგავსი კომენტარების გაკეთების შემდეგ, განმცხადებელს გაუჩნდა აღქმა, რომ ის სთავაზობდა მასთან ინტიმურ ურთიერთობას საადვოკატო საქმიანობის სანაცვლოდ. სახალხო დამცველის შეფასებით, ლ.ჯ.-ს მხრიდან გაკეთებული კომენტარები და შეთავაზებები, სცდება მეგობრულ დამოკიდებულებას და ატარებს სექსუალურ ხასიათს.

ქმედების არასასურველობა

კონკრეტული არასასურველი სექსუალური ქცევის აღქმა, მსხვერპლში სხვადასხვა გრძნობებსა და განცდებს უკავშირდება და უმრავლეს შემთხვევაში, ღირსების შელახვის, შეურაცხყოფის, დამცირების ან/და შიშის ემოციებს აღძრავს. სექსუალური შევიწროების არასასურველობა არ გულისხმობს ქმედების „იძულებითობას“, მსხვერპლი შესაძლოა ეთანხმებოდეს კონკრეტულ ქცევას და აქტიურადაც მონაწილეობდეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისთვის ქმედება

უსიამოვნო და შეურაცხმყოფელი იყოს.[17] იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი მონაწილეობს მისთვის არასასურველ ქმედებაში, მაგალითად, იღებს სექსუალურ ხუმრობას, არ ნიშნავს და არ მოიცავს მისი მხრიდან ქცევის მიმღებლობას/თანხმობას.[18] გადამწყვეტია ის, რომ პირისათვის, მისკენ მიმართული სექსუალური ქცევა იყო არასასურველი და არა ის, რომ სექსუალურ ქცევაში მონაწილეობას ნებაყოფილობით დათანხმდა.[19]

სექსუალური შევიწროების დროს არასასურველობის შეფასება უნდა მოხდეს ქალისა და მამაკაცის განსხვავებული სოციალური გამოცდილების გათვალისწინებით.[20] მსხვერპლის აღქმის გაგება, მათ შორის მოიცავს, ქალისა და მამაკაცის განსხვევებული აღქმების ანალიზსაც. მრავალი სახის ქცევა, რომელიც მამაკაცისთვის არ არის მიუღებელი, შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს ქალისათვის. სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას, საჭიროა ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება ქცევა და სწორედ ამ კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ[21].

განსახილველ შემთხვევაში, ქცევის არასასურველობასთან მიმართებით მოპასუხე წარმოდგენილ პოზიციაში მიუთითებს, რომ მიმოწერაში ნ.გ. მის მიმართ სიმპათიას გამოხატავდა, რაც, ჩვეულებრივ, იყო ორმხრივი დიალოგი. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული ეფუძნება მისი, როგორც მამაკაცის მხრიდან ქცევის არასწორ აღქმას. განმცხადებელი მიმოწერისას აშკარად გამოხატავდა მის უარყოფით დამოკიდებულებას მოპასუხის ქცევის მიმართ. კერძოდ, როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 25-26 ივლისის კომუნიკაციის ამსახველი ვიდეო მტკიცებულებით დასტურდება, ნ.გ.-მ მოპასუხეს უთხრა, რომ არ იხიბლება ფულით და მაცივრით; როდესაც ლ.ჯ.-მ განმცხადებელს უთხრა, რომ *ჯობს შეეშვას წყლის ნაყვას და ღირსეული ვინმე ნახოს, ვინც გააძლიერებს*, ნ.გ.-მ უკმაყოფილება გამოხატა, *თუ რა კავშირში იყო მისი პირადი ცხოვრება ალიმენტთან დაკავშირებულ სარჩელთან.* ხოლო, როდესაც მოპასუხემ ახსენა, რომ *ცუდ ქმარს კარგი საყვარელი სჯობს,* განმცხადებელმა მიუთითა, რომ *საყვარლობის თემისგან ძალიან შორს არის და ურჩევნია სულ ნუ იქნება ნურავინ.* ამასთან, მას შემდეგ, რაც ლ.ჯ.-მ ნ.გ.-ს მიაყენა შეურაცხყოფა, კერძოდ უწოდა *სოფლელი, უტვინო, გოიმი ქალი, რომელსაც ცოდნა და გამოცდილება არ აქვს, შვილები ჰყავს, განათხოვარია და მიმართა - აუდე ახლა აქედან,*

---

[17] UN, *What is sexual harassment?,* იხილეთ: https://bit.ly/2YP86l9,

[18]Harrison v. Nixon Safety Consulting and others (No. 3), 2008 BCHRT 462 (CanLII); ხელმისაწვდომია: http://canlii.ca/t/221k0

[19]The U.S. Supreme Court, **Meritor Savings Bank v. Vinson,** 477 U.S. 57 **(1986)**; ხელმისაწვდომია: https://supreme.justia.com/cases/federal/us/477/57/

[20] Bonnie B. Westman, *"The reasonable woman sandard: Preventing sexual harassment in the workplace", William Mitchell Law Review*, Vol. 18, Issue 3, Article 18, (795), 1993, გვ. 816; ხელმისაწვდომია: http://open.mitchellhamline.edu/wmlr/vol18/iss3/18

[21] Supreme Court of the United States, Josef Oncale, Petitioner v. Sundowner Offshore Services, Incorporater, et al., No. 96- 568, 1998, II, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.law.cornell.edu/supct/html/96- 568.ZO.html

განმცხადებელმა მისი ფეისბუქ ანგარიში დაბლოკა, რითიც მოპასუხის ქცევის მიუღებლობა კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატა.

დამაშინებელი და დამამცირებელი გარემოს შექმნა

სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს. მიუხედავად ამისა, ცალკეულ ინდივიდებზე ის არაპროპორციულად ახდენს გავლენას, მათი ინდივიდუალური მახასიათებლის გამო.[22] როდესაც ადამიანი დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე ნიშნის მატარებელია, უფრო მაღალია რისკი, რომ ის სექსუალური შევიწროების მიმართ დაუცველი იქნება. ეს მახასიათებლები შეიძლება იყოს - ოჯახური მდგომარეობა, ეთნიკური კუთვნილება, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, სოციალური მდგომარეობა და სხვა.[23] ამდენად, სექსუალური შევიწროება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და გენდერული უთანასწორობის გამოძახილი, სტრუქტურული სოციალური უთანასწორობის სხვადასხვა განზომილებებთან იკვეთება.[24]

დაუცველობის კუთხით ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ **ქორწინებაში არმყოფი ქალები** (დაუქორწინებელი, განქორწინებული, დაშორებული, ქვრივი) **და მარტოხელა დედები.** აღნიშნული განპირობებულია ძალთა უთანასწორობიდან და გენდერული აღქმებიდან, რომ ისინი უფრო უმწეო შეიძლება იყვნენ, ვიდრე დაქორწინებული ქალები.[25] გარდა ამისა, სოციო-კულტურული ნორმებიდან გამომდინარე, შემავიწროებელი შეიძლება მიიჩნევდეს, რომ კონკრეტული სექსუალური კონოტაციის ქცევა უფრო მისაღები იქნება ქორწინებაში არმყოფი ქალისათვის, ვიდრე ქალისათვის, რომელსაც მეუღლე ჰყავს. ეს ფაქტი, ცხადია, წარმოაჩენს სექსუალური შევიწროების განმაპირობებელი ფაქტორებისა და შემავიწროებლის აღქმების ფართო სპექტრს და ასევე, მჭიდროდ უკავშირდება გენდერულ სტერეოტიპებს.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 25-26 ივლისის მიმოწერის ამსახველი ვიდეომასალით დასტურდება, მას შემდეგ, რაც

---

[22] ILO, *"Ending violence and harassment against women and men in the world of work",* ILC.107/V/1, §121, გვ. 30; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fyigwl; Karren O'Connell, *„Can law address intersectional sexual harassment? The case of claimants with personality disorders"*, 2019, გვ. 1; ხელმისაწვდომია: https://www.mdpi.com/2075-471X/8/4/34/htm.

[23] ILO, *"Ending violence and harassment against women and men in the world of work",* ILC.107/V/1, §§120-121, გვ. 30; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fyigwl

[24] UN Women, *„What will it take? Promoting cultural change to end sexual harassment",* 2019, გვ. 11; ხელმისაწავდომია: https://bit.ly/3cpn6dq,
იხ. ასევე: UN Women, *„Towards an end to sexual harassment: the urgency and nature of change in the era of #MeToo",* გვ. 8; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35NbzSF

[25] Ontario Human Right Commission, *"Policy on preventing sexual and gender-based harassment",* 2013, გვ. 14; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WKMPpU; Rebecca S. Merkin, *„Sexual Harassment Indicators: The Socio-Cultural and Cultural Impact of Marital Status, Age, Education, Race, and Sex in Latin America",* გვ. 157; ხელმისაწავდომია: https://bit.ly/2SStSkb

განმცხადებელმა გამოხატა უკმაყოფილება მოპასუხის ქცევის მიმართ, მოპასუხემ სწორედ მის ოჯახურ მდგომარეობაზე გააკეთა აქცენტი, და მისი ოჯახური სტატუსი წარმოაჩინა უარყოფით და შეურაცხმყოფელ კონტექსტში - მიმართა, რომ *განათხოვარია და ჰყავს შვილები.* სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ.გ. არის მარტოხელა დედა, რომელიც წარსულში, ყოფილი მეუღლის მხრიდან, გახდა ძალადობის მსხვერპლი. მსგავსი ტრავმული გამოცდილების მქონე ქალები უფრო მეტად სენსიტიურები არიან და მათთვის, შესაძლებელია, კიდევ უფრო დამაშინებელი და მატრამვირებელი იყოს მამაკაცის მხრიდან არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა. განმცხადებლის მიერ თავის ახსნა-განმარტებაში გაკეთებული განმარტებით, მას ბოლომდე დაძლეული არ ჰქონდა ოჯახის დანგრევით გამოწვეული დეპრესია, რის გამოც, ადვოკატის მხრიდან დახმარების ნაცვლად მსგავსი სახის შეურაცხმყოფელი ქცევა მისთვის უკიდურესად რთული გადასატანი იყო. ამასთან, ვინაიდან მოპასუხეს, როგორც ადვოკატს, დიალოგის დასაწყისში საქმის ვითარებაში გასარკვევად გააცნო ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებული პირადი ხასიათის ინფორმაცია, გაუჩნდა შიში, რომ თუ იგი მას რამეზე უარს ეტყოდა, პირად ინფორმაციას მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა. აღნიშნული ეჭვის საფუძველს უქმნიდა მოპასუხისავე მინაწერები და ლინკები, თუ როგორ აშანტაჟებდა იგი პოლიციის უფროსებს და პროკურორებს და, ამაყობდა, რომ ამის გამო მისი ყველას ეშინოდა. ამას გარდა, მოპასუხე გამუდმებით საუბრობდა მის გავლენებზე და გავლენიან თანამდებობის პირებთან ნაცნობობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ.გ.-ს გაუჩნდა საფუძვლიანი შიში. მისი შიში კიდევ უფრო გაამლიერა საქველმოქმედო ღონისძიებასთან დაკავშირებულმა ინციდენტმა, რა დროსაც ლ.ჯ. უშუალოდ შეხვდა მას. ამასთან, ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, ლ.ჯ.-მ განმცხდებელს სხვა ფეისბუქ პროფილიდან კვლავ გაუგზავნა მეგობრობის თხოვნა და იწონებდა მის ფოტოებსა და პოსტებს. განმცხადებლის განმარტებით, ამ ფაქტის შემდეგ მას სერიოზული შიში განუვითარდა - როდესაც ბავშვებს სკვერში ასეირნებდა, ეგონა, რომ მოპასუხე უთვალთვალებდა, გამოჩნდებოდა და არასასურველ სიტუაციაში ჩააყენებდა.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების ვარაუდი განმცხადებელის მიერ მითითებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა თანახმად, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის მიმოწერას, რის გამოც განმცხადებელს შეექმნა დამამცირებელი და დამაშინებელი გარემო. განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები ამყარებდა მის მიერ განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ წარმოშობილი ვარაუდი გაექარწყლებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ლ.ჯ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ნ.გ.-ს მიმართ სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა

არასასურველ სექსუალური ხასიათის მიმოწერაში, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა დამამცირებელი და დამაშინებელი გარემო.

შესაბამისად, ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ლ.ჯ.-ს

- მომავალში არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო.

გთხოვთ, რეკომენდაციის განხილვის შედეგებთან დაკავშირებით მაცნობოთ ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,